საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/60 "5" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თ. სიხარულიძის თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 51 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 41 მოსამართლე ახორციელებს. საერთო სასამართლოთა შორის, დატვირთვის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული სასამართლოა.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 7 მოსამართლის, მათ შორის მოსამართლე თეიმურაზ სიხარულიძის განაცხადი. თ. სიხარულიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 21-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს, ადიგენის რაიონულ, ქუთაისის სააპელაციო და ფოთის საქალაქო სასამართლოებში. ამჟამად იგი უფლებამოსილებას კვლავ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ახორციელებს. მისი სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მას აქვს უნარი გააგრძელოს მუშაობა თბილისის საქალაქო სასამართლოს დატვირთვის პირობებში. ამასთან, თ. სიხარულიძეს აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, თეიმურაზ სიხარულიძე გათავისუფლდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 10 ივნისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი